სამშაბათი. 1917 წ. ქრისტეშობისთვის 19 (1) № 276 — სამშაბათი. 1917 წ. ქრისტეშობისთვის 19 (1) № 276

წელიწადი მესამე — ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ ქრისტეშობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დღეს:

ცნობები:

გამოიცა დეკრეტი დამფუძნებელ კრების ახალ არჩევნების შესახებ.—ხმებია, ვილჰელმმა რომანოვების განთავისუფლება მოითხოვაო.—სახალხო კომისრების საბჭოს კიევში მოსალაპარაკებლად დელეგაცია გაუგზავნია.

კიტა აბაშიძე გარდაიცვალა.

წერილები:

ა. ასათიანი. მიწის დეკრეტის გამო.

შ. ამირეჯიბი. პარონ შაუმიანი.

გ. ლეონიძე. ქართული ესთეტიკის საღამო.

პულლჩინელო. დღევანდელი (პატარა ფელეტონი).

მ. საირხელი. ჯარების დემობილიზაცია და სასურსათო საკითხი.

ზ. ჭიჭინაძე. ქართული საეკლესიო წესებიდან.

ს. ახვლედიანი. ალ. სუმბათაშვილი.

კორესპონდენცია. კახეთიდან, ქართლიდან.

დეკ. ნ. თალაკვაძე. წერილი რედაქციის მიმართ.

პური

ქრისტეშობისთვის 18-ს ყველა უბნების სასურსათო ბიუროში მიიღება მე-3 სერია პურის ბარათებისა. მე-3 სერიის პურის ბარათები მიეცემათ ახალ სასურსათო ტიპის ბარათებთან (შაქრის, ჩაის და სხ. სურსათის) ერთად, სხვა და სხვა მოწმობების (სახლის წიგნი, საბუთები ოჯახის წევრთა რაოდენობისა) წარმოდგენის შემდეგ.

ის მოქალაქე, რომელთაც მიიღეს ახალი სასურსათო ბარათები, კვალად ინებებენ და წარმოადგენენ მხოლოდ მე-3 სერიის პურის ბარათების მისაღებად.

დამატებითი პაიკი—პურის ბარათები, ფიზიკურად მომუშავეთათვის მიიღება ყველა უბნების სასურსათო ბიუროებში, რისთვისაც საჭიროა პროფესიის სათანადო მოწმობები.

დაწესებულებათა, ფაბრიკების, ქარხნების, საზოგადოებრივ და პოლიტიკური ორგანიზაციების საგულისხმოდ

დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა პურის ბარათების (მე-3 სერიისა) და ახალ ტიპის სასურსათო ბარათების მისაღებად, კვალად ინებონ და ქალაქის სასურსათო კომიტეტში (შემუშავების და რეგისტრის ქ.) წარმოადგინონ მოსამსახურეთა სიები, დახარჯული შაქრის ბარათები, სახლის წიგნები და დოკუმენტები, ოჯახის შემადგენლობის და თვითეულ თანამშრომლის დასამოწმებლად.

თბილისის ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა.

1—860—1

ქართული კლუბი

ხუთშაბათს, ქრისტეშობისთვის 21-ს გაიმართება ერ. დემოკ. სტუდენტთა და მოწაფეთა

საღამო

I —**წარმოდგენა:** „აწინდელი საქართველო"—[illegible]

II —**სალიტერატურო სამუსიკო განყოფილება:** საკუთარი გუნდი, სოლოები, დუეტები, ლექსები.

III—**კაბარე:**—სცენები, კუპლეტები, აღმოსავლური ცეკვა—ზურნით და მუსიკით, აუქციონი და სხვა გასართობები.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

5—2

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

ყოფილი უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.

გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

თ—879—13

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის გაზეთ

„საქართველო"-ზე

ხელის მოწერის ფასი: ერთის წლით 50 მანეთი, 6 თვით 27 მანეთი, 3 თვით 13 მან. 50 კაპ. 1 თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მან. 50 კაპ.

ნომერი ეღირება 20 კაპ.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, контора газ. „САКАРТВЕЛО", почт. ящ. 76.

კონტორაში ხელისმოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: სასახლის ქ. № 5, ქართული ქარვასლა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

თბილისის

პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე [illegible].

მესამე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე [illegible] ქუჩა № 5, სახლი კლდიაშვილისა.

მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე [illegible] მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის წევრთან გ. ყიფიანთან.

მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის თავმჯდომარე დიმ. დუმბაძესთან და მდივან ლ. მაჩაბელთან.

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

დედაკაცთა ავადმყოფებს ხედ. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით ავადმყოფთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფესანაურის შესახ. № 3 (1-ლი სამხედრო ნაწილი).

53—748—ათ.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—823—35

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—33

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 6-დან 7 საათამდე.

მუხრანის ქუჩა № 41

ტელეფონის № 14—09

ექიმი

ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და ასოშინაგანი (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

ამიერ კავკასიის ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ კვირას, იანვრის 14, ბანკის ბინაზე, თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, ტელეფონი № 5—26, დანიშნულია მეორედ აქციონერთა

არაჩვეულებრივი კრება

შემდეგი საკითხების გასარჩევად

1. ძირითადი თანხის გადიდება

და 2. ბანკის განყოფილებათა გახსნა.

შენიშვნა: ეს კრება როგორც მეორედ მოწვეული, თანახმად წესდების § 67-ის კანონიერად ჩაითვლება, რამდენი აქციონერიც არ უნდა დაესწროს.

იმავე შენობაში და იმავე დღეს დილის ორ საათზე დანიშნულია ბანკის აქციონერთა პირველი არაჩვეულებრივი კრება სარევიზიო კომისიის ორი წევრის ასარჩევად.

შენიშვნა: სახელდებულ აქციათა პატრონთ კრებაზე ხმის უფლება ექნებათ, თუ ისინი აღნიშნული იქნებიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე.

2—859—2

მიწის დეკრეტის გამო

ამიერ-კავკასიის კომისარიატს უკვე შეუმუშავებია დეკრეტი მიწის შესახებ, რასაც მახლობელ დღეებში გამოაქვეყნებენ. არსებითად ამ დეკრეტს ჩვენ შევეხებით, როდესაც მისი გაცნობის შემთხვევა მოგვეცემა.

ამ ჟამად ჩვენ მკითხველის ყურადღებას ზოგიერთ გარემოებას მივაქცევთ.

მიწის საკითხი იმდენად რთული და ამასთანავე მნიშვნელოვანი საკითხია, რომ მისი არა თუ გადაჭრა და ძირითადი რეფორმა, არამედ მის ვითარებაში მცირე ცვლილებაც მხოლოდ საფუძვლიანი და დასაბუთებული შესწავლის და გამოკვლევის შემდეგ უნდა ხდებოდეს. ის გარემოება, რომ ამ ჟამად რევოლუციის ხანაა და ეს სოციალ-პოლიტიკური რეფორმების დაჩქარებას მოითხოვს, სრულებით არ ამართლებს მიწის საკითხის აჩქარებულის ხელით შეხებას და სახელდახელოდ „გადაჭრას".

რუსეთში მიწის საკითხის რეფორმას მეთაურობს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. ეს პარტია სოფლის მშრომელის პარტიათ ითვლება და მას მიწის საკითხის რეფორმა ყველა სხვა პარტიებზე უფრო რადიკალურადაც აქვს წარმოდგენილი. მართალია, ეს პარტია თავიდანვე ამ საკითხის შესწავლას და გამოკვლევას აკუთვნებდა უმთავრეს თავის ყურადღებას და სიყვარულს, მაგრამ როდესაც მიწის საკითხის გადაჭრა პრაქტიკულად დაისვა, გამოირკვა, რომ ამ პარტიას არა აბადია რა გარდა განყენებული ლოზუნგისა—„მიწა მიწის მუშას". რა წესით უნდა მომხდარიყო მიწის მშრომელ გლეხობაზე გადასვლა, როგორ მიწებს უნდა შეხებოდა ეს რეფორმა, ვინ იგულისხმება ამ მშრომელებად, როგორი იქნებოდა ასეთი რეფორმების შედეგები და სხ., ყოველივე ეს, როგორც გამოირკვა, მიწის დეკრეტების ავტორებისთვის გამოურკვეველი ყოფილა. მაგრამ საკითხი აღძრული იყო და მის მიმდინარეობას ამ ჟამად ასეთი იჭვები ვერ შეაჩერებს. ძნელი წარმოსადგენია, როგორი სახეს მიიღებს საბოლოოდ ეს რეფორმა. პარტიული ფანატიზმით უნდა იყოს ადამიანი შეპყრობილი, რომ ვიფიქროთ, თითქოს ეს საკითხი საბოლოოდ გადიჭრება სოციალისტ-რევოლუციონერებისა, თუ სოციალ-დემოკრატების რეცეპტით. თუნდაც რუსეთის დამფუძნებელი კრების მთელი შემადგენლობა სოციალიზაციას, თუ მუნიციპალიზაციას გამოექომაგოს, ასეული დეპუტატის გადაწყვეტილება ქალალდზე დარჩება და საკითხს კი მრავალ მილიონთა სურვილი, საჭიროება, შეგნება თუ უმეცრება გადასჭრის. მსხვილ მემამულეთა, სახელმწიფოსა და სამონასტრო მიწების მშრომელთა ერთეულებისა თუ სახელმწიფოს კუთვნილებად გარდაქცევა, როგორც სოციალისტური პარტიები მოითხოვენ, შეიძლებოდა მხოლოდ ხანგრძლივი კანონმდებლობითი მუშაობის შემდეგ. რაც შეეხება საკითხის უფრო რადიკალად გადაჭრას, ბევრი ეჭვით შეხვდება ჩვენს მოსაზრებას, რომ არავითარ სახელმწიფოს არ ძალუძს მიწის სოციალიზაციის გვარ რთული და

ძნელად განსახორციელებელი რეფორმის მოხდენა. ბევრს ჰგონია, რომ მრავალ მიწის მეპატრონეთა საკუთრების საზოგადო კუთვნილებად გადაქცევა ისევე შესაძლებელია, როგორც საზოგადო საკითრების თუ მსხვილ მეპატრონეთა მიწების ჩამორთმევა და მშრომელთათვის გადაცემა. ყოველს შემთხვევაში ჩვენი სოციალისტური პარტიები რომ რეფორმებს ჰკისრულობენ, ასეთი რეფორმები ჯერ არც ერთ სახელმწიფოს არ მოუხდენია, და ამ გზით არ უნდა წავიდეს მიწის საკითხის რეფორმა რუსეთსა და საქართველოში. დღეს რომ რუსეთში სტიქიონი მძვინვარებს, სრულიადაც არ არის მოსალოდნელი, რომ მან მიწაზე მსხვილი მფლობელობის მოსპობასთან ერთად მრავალ მილიონ გლეხთა საკუთრებაც მოშალოს და დაამყაროს ფრიად ბუნდოვანი და გამოურკვეველი მიწის საზოგადო მფლობელობა და სარგებლობა. უფრო შესაძლებელია, რომ ამ სტიქიონს რუსეთში საზოგადო მფლობელობის ნაშთებიც თან გადაჰყვეს და და რუსეთის თემურ მფლობელობასაც ისეთი ბედი ეწვიოს, როგორც მსხვილ მემამულეთა, სახელმწიფოსა და მონასტრების მფლობელობას—ყველა ეს მიწები განაწილებული იქმნეს სოფლის მშრომელთა შორის არა საზოგადო მფლობელობით, არამედ სრულს კერძო საკუთრებად.

ჩვენი ქვეყნის მიწად-მფლობელობა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს სოციალისტური პროგრამების ავტორებს აქვს წარმოდგენილი. თუ მცირედ მაინც გაეცნობიან ამიერ კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს მიწად მფლობელობას, ნათლად დაინახავენ, რომ ჩვენი ქვეყანა, სრულიად გამოუსადეგარია მათი აგრარული ექსპერიმენტებისათვის. სამწუხაროდ ის ცნობები, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება ამიერ კავკასიის კომისარიატში მიწის საკითხის შემუშავების შესახებ, გვარწმუნებს, რომ ამ საკითხის გადაჭრას წინ არ უძღვის საკითხის შესაფერისი შესწავლა და გაშუქება. მიწად-მოქმედების კომისარი, ამ საკითხის შესახებ მომხსენებელი მოქალაქე ნერუჩევი სრულიადაც არ ჰმალავს, რომ მას კონკრეტულად არ აქვს წარმოდგენილი წესი, სახე და საგანი იმ დეკრეტისა მიწის შესახებ, რომელიც ამ დღეებში უნდა გამოქვეყნდეს. რომ მიწის საკითხი ადგილობრივ გადიჭრას, ამა თუ იმ ერის დამფუძნებელ კრებებზე, სადაც კანონის დამწერი იქნებიან საქართველოს მშრომელი მეურნენი, რომელთაც ნერუჩევზე უკეთ უწყიან ადგილობრივი პირობები და საჭიროებები, მოქალაქე ნერუჩევს არა დემოკრატიულად მიაჩნია. მოქალაქე ნერუჩევი სოციალისტ-რევოლიუციონერია და ის თუ საქართველოს მიწათ-მფლობელობას და მეურნეობას არ იცნობს, სამაგიეროდ კარგად იცნობს თავის პარტიის პროგრამას და ეს ალბად მას საკმაო მასალად მიაჩნია ჩვენი უდიდესი სოციალური საკითხის გადასაჭრელად.

ა. ახათიანი.

პარონ შაუმიანი

შაუმიანს, ყოველი გონიერების წინააღმდეგ, უსათუოდ უნდა რევოლუციას საქართველოში ტროცკობა გაუწიოს. ეს ოდესღაც წვრილფეხა აგიტატორი, ეხლა კი დიდი პროვოკატორი და სასტიკი მოძულე ქართველებისა, წლებზე ფეხს იდგამს, არაფერს არ ზოგავს და სურს რუსის ჯარში სახელი გაუტეხოს საქართველოს. აი რასა სწერს შაუმიანი „კავკაზსკი რაბოჩის“ კვირის ნომერში. „სეპარატიულ და ნაციონალისტურ პოლიტიკის მეთაურებად, ამ ხანად, 1917 წელში, კავკასიაში მენშევიკები გამოვიდნენ, რომლებიც აშკარად გადაიქცნენ ქართულ ნაციონალურ პარტიად. მათ და არა ძველ ნაციონალისტებმა „დაშნაკცაკანებმა“ წამოაყენეს პირველად საქართველოს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიის მოთხოვნილება, ისინი იყვნენ ინიციატორები ეროვნულ ჯარის შექმნისა და ასეთ პოლიტიკის სამწუხარო შედეგების მთავარი ისტორიული პასუხისმგებლობაც ჟორდანიას, გეგეჭკორს და კო... აწვება?.

ამ რიგად, როგორც იტყვიან, შაუმიანი ზიგ რქებში სწვდა ხარს. ის პირდაპირ აბეზღებს ჟორდანიას და გეგეჭკორს რუსის ჯართან და იგი დარწმუნებულია, ეს მისი სიტყვებია, რომ „ამ პასუხისმგებლობას ისინი ვერსად წაუვლენ და გამართლება მათთვის არ არსებობს“.

შაუმიანი რომ მართლა პროვოკატორი და დამბეზღებელია, მე ერთ ნაწყვეტს კიდევ მოვიყვან მის წერილიდან. გონება დაკარგული შაუმიანი სწერს: განსაკუთრებით დიდ მღელვარებას რუსის ჯარის კაცებში ის იწვევს, რომ ეროვნული ჯარები იარაღდებიან და იმოსებიან რუსის ჯარის კაცის ხარჯით. ხშირად რუსის პოლკებს იარაღს ჰყრიან, რომ იქვე ეროვნული ჯარები შეიარაღონ“.

ამ ამონაწერების შემდეგ ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ერთი კითხვა დავაყენოთ.—ვინ არის ეს შაუმიანი და ვისთვის მუშაობს ის? რუსეთის ბოლშევიკებზე ლაპარაკობდნენ, რომ ისინი გასამრჯელოს გერმანელებისგან იღებენ. ბოლშევიკ შაუმიანზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასამრჯელოს ის ალბად რუს შავრაზმელებისა და ცენტრალისტებისაგან იღებს.

ეს ფინია რევოლუციისა, რომლის სახელი არაფერს არ ეუბნება ქართველ დემოკრატიას და ქართველ ხალხს, გარდა ამისა, რომ აშკარად აბეზღებს მის ბელადებს „ნახევარ მილიონ“ რუსის ჯართან, როგორც თითონ ამბობს, თავის აღვირახსნილობაში არაფერს მალავს და პირდაპირ ამბობს: „ჯარი ვეუბნებოდით ჩვენ, უკმაყოფილო ნაციონალისტურ პოლიტიკით, სტიქიურად მოაწყდება ფრონტიდან და გაგთელავთ და წაგლეკავთ თქვენ. ყველაფერი ეს ახდა ეხლა. რამდენიმე კორპუსი უკვე მოიხსნა და მოდის. რა უნდა ვიღონოთ, რომ არაფერი არ მოხდეს... სამწუხაროდ უკვე გვიანაა და აღარაფერი აღარ გვიშველის“. როდესაც შაუმიანი ასე ფიქრობს და არა თუ ფიქრობს, არამედ დარწმუნებულიც არის და მას უკვე ცნობებიც აქვს ამის შესახებ, ჩვენ ეჭვიც არ უნდა გვქონდეს, რომ ის სათავეში ჩაუდგება ამ ჯარს და საქართველოს „გასთელავს და წალეკავს“, როგორც თითონ ამბობს. რა უნდა ვქნათ ჩვენ, როდესაც შაუმიანი მთელ საქართველოს ასეთ „მომხდარ ფაქტის“ წინაშე აყენებს. შეიძლება აქ დაგვიანება, ფიქრი, ანგარიში? შესაძლებელია განა საქართველო ძრწოდეს ვიღაც შაუმიანის წინაშე? რასაკვირველია, არა!

შაუმიანის სახით, აქ, თბილისში, საქართველოს დედა ქალაქში, საქართველოს ეროვნულ ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს პირი, აშკარად პროვოკატორი და აშკარად ავაზაკი, რომელიც თავის ავაზაკურ მოღვაწეობით შიგ ძირში სწვდება ერისა და საქართველოს თვითმართველობის ინტერესებს, ნუ თუ დრო არ არის დაესვათ საკითხი იმის შესახებ, რომ ერის უმაღლესი ინტერესები უზრუნველ იყოს მავნე პირთა გავლენისაგან.

თავის ეროვნულ საბჭოს სახით საქართველო უკვე თვითმმართველი ქვეყანაა. ეროვნულმა ყრილობამ აშკარად დაავალა ამ საბჭოს დარაჯად უდგეს ერის საარსებო ინტერესებს. თავმოყვარეობის შემლახველი [illegible] გამოჩენა იქნებოდა გაჩუმება იქ, სადაც საჭიროა ძლიერი და მტკიცე ხმა. საქართველოს არ შეუძლიან თავის გულზე გველი აწოვოს, შაუმიანს, როგორც პროვოკატორს და საქართველოს მტერს, ადგილი არ უნდა ჰქონდეს საქართველოში. შაუმიანს უფლება აქვს იქ და ისე იმუშაოს სადაც სურს და როგორც სურს. მაგრამ შაუმიანის მოღვაწეობა საქართველოში ეს პროვოკაციაა, ეს აღელვების აგმოწვევაა ქართველ ხალხში. ამიტომ შაუმიანმა უნდა დასტოვოს საქართველო. ეს ქვეყანა მისთვის არაფერია, ის კი მხოლოდ პროვოკატორია მისთვის.

შ. ამირეჯიბი.

ზავის გარშემო

ინგლისური პრესა

ლონდონი. ქრისტეშობისთვის 6. „მანჩესტერ გარდიან“-ი დროებით ზავის საკითხზე სწერს: ამ საკითხში ორი მხარე იყო დაინტერესებული და რათქმა უნდა საკითხი ადვილი გადასაწყვეტი გამოდგა. რაც შეეხება მთავარ პუნქტს, რომლითაც მეტად დაინტერესებულნი იყვნენ მოკავშირენი, სახელდობრ ჯარების გადაყვან-გადმოყვანა რუსებმა ვერ შესძლეს თავიანთი მოთხოვნილებათა ასრულება. გერმანიის წინდაწინვე მოსაზრებული ჰქონდა ასეთი დროებითი ზავი და ამ ბოლო დროს ჯარები უკვე გადმოჰყავნდა რუსეთის ფრონტიდან.

ზავი გერმანეთთან

საგანგებო სხდომა

ალექსანდრეს სასახლეში ქრისტეშობისთვის 8-ს მოხდა საგანგებო სხდომა ზავის საკითხის შესახებ. მონაწილეობა მიიღეს სხდომაზე დამფ. კრების დეპუტატებმა, რუსეთის გლეხთა მეორე ყრილობის წევრებმა, ქალაქის თვითმართველობათა წარმომადგენლებმა და პოლკის დელეგატებმა.

საზავო კონფერენცია

ბრესტ-ლიტოვსკში საზავო კონფერენციას კიულმანისა და ჩერნინის გარდა დაესწრობა გერმანეთის გარეშე საქმეთა ყოფილი მინისტრი და ვიცე კანცლერი ფონ-გელფერიხი. ეს უკანასკნელი კონფერენციაზე პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხებს წამოაყენებს.

ვილჰელმი და საზავო კონფერენცია

იმპერატორმა ვილჰელმმა და კარლოს ფერდინანდმა წინადადებით მიჰმართეს პაპს, მიიღოს ინიციატივა საზავო კონფერენციის მოწვევის.

ომი

ინგლისის ფრონტი

სტოკჰოლმი. ქრისტეშობისთვის 6. ინგლისის მთავრობის ოფიციალი ცნობა. ქრისტეშობისთვის 5 დილით გერმანელებმა იერიში მიიტანეს კრუაზილის ჩრდილოეთით, მაგრამ მოგერიებულ იქნენ. ბიულეკურის, ლანსის, არმანტიერის და იპრის ხაზზე საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. ცუდი ამინდი ხელს უშლიდა მფრინავების მოქმედებას. მიუხედავად ამისა, ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სადგურ კურტრეზედ. ამის გარდა, ჩვენებმა ჩამოაგდეს მტრის ორი საფრენი. ჩვენი ერთი საფრენი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

პალესტინაში

სტოკჰოლმი. ქრისტეშობისთვის 6. ინგლისის ოფიციალი ცნობა. პალესტინაში ჩვენ დავიპყარით ზეგანი ქალაქ იერუსალიმის და მის სამხრეთ ნაწილი. ამ ბრძოლაში ჩვენებმა ხელთ იგდეს 107 ოსმალო. ჩვენი დანაკლისი შედარებით მცირეა.

საფრანგეთის ფრონტი

პარიზი. ქრისტეშობისთვის 6. მთელს ფრონტზედ საარტილერიო ბრძოლაა. მტრის იერიში სენ-კანტენზე მოგერიებულ იქმნა.

მაკედონიაში

პარიზი. ქრისტეშობისთვის 6. მონასტირის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა. დოირანის მიდამოებში ჩვენებმა მტრის საფრენი ჩამოაგდეს.

გერმანეთი და ოსმალეთი

იერუსალიმის აღების შემდეგ გერმანეთში იზრდება შიში, რომ ეს დამარცხება დიდ გავლენას იქონიებს ოსმალეთ-გერმანეთის დამოკიდებულებაზე და ოსმალებში გააღრმავებს სიძულვილს გერმანელებისადმი. შორს მხედველნი გერმანელი პუბლიცისტები აღიარებენ, რომ გერმანელთა დაუხმარებლობამ განამტკიცა ოსმალეთში ის აზრი, რომ გერმანელებს ოსმალეთის ხარჯზე ჰყიდულობენ ზავს ინგლისიდან.

ოფიციალ წრეებში აღიარებენ, რომ ბედი ოსმალეთისა და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა დაცული იქნება ევროპის სამშვიდობო კონფერენციაზე. ამიტომ ცენტრალი სახელმწიფოები ჰფიქრობენ იტალიის ცოცხალი ძალის სრულ განადგურებას და საფრანგეთში ღრმად შეჭრას. ამისთვის კი აუცილებელია ცენტრალი სახელმწიფოების მთელი ძალის კონცენტრაცია.

რაც შეეხება პალესტინის და მესოპოტამიაში ოსმალთა დამარცხების პოლიტიკურ მნიშვნელობას, გერმანულ ოფიციალ წრეებში ირწმუნებიან, რომ გერმანეთი ვერასოდეს ვერ შეურიგდება ოსმალების მიერ მესოპოტამიის და პალესტინის დაკარგვას, ვინაიდან ინგლისის ეს გამარჯვებანი გააბათილებენ გერმანეთის ევროპაში გამარჯვებას, რაც სრულებით არ შედის გერმანელების ანგარიშში.

ვილჰელმის საუბარი ამერიკელ ჟურნალისტთან.

ამერიკელი გაზეთი „ნიუ-იორკი ტრიბუნი“ აქვეყნებს საინტერესო საუბარს კაიზერისას და ამერიკელ ჟურნალისტისას 1908 წელში. კაიზერი მაშინ უკვე ჰგრძნობდა მსოფლიო ომის მოახლოვებას, ტრაბახობდა მომავალ გამარჯვებას, იფიცებოდა პალესტინის განთავისუფლებას და აღიარებდა ინგლის-იაპონიის საზიზღარ პოლიტიკას. იმპერატორი ტრაბახობდა, რომ ინგლისს მრავალი სიურპრიზი ელის გერმანელთა მხრითაო. მისი სიტყვით გერმანეთი დიდს პროპაგანდას ეწეოდა ინდოეთში, რასაც ინდოეთის ინგლისიდან ჩამოშორება უნდა მოჰყოლოდა.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

უცხოელი ელჩები ტროცკისთან.

დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის და დანიის ელჩებმა ინახულეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი. სახალხო კომისარიატის კურიერებს ისევე დაუბრკოლებრივ გაუშვებენ როგორც მოკავშირეთა და ნეიტრალ სახელმწიფოთა კურიერებს.

დეკრეტი გვარის შეცვლის შესახებ.

სმოლნში მუშავდება დეკრეტი, რომლის თანახმად რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეთ უფლება ეძლევათ თავისუფლად შეიცვალონ სახელი და გვარი.

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს რეკვიზიცია.

სმოლნი ინსტიტუტმა დაადგინა „ბირჟევია ვედომოსტი“-ს სტამბის, ქონების და ქაღალდის რეკვიზიცია.

უპურობა.

ქრისტეშობისთვის 14-ს პურის რიგებს აღელვება ეტყობათ. ზოგნი მოუწოდებდნენ: წავიდეთ სმოლნში და ბოლშევიკებს აღთქმული პური მოვთხოვოთ. განაპირა უბნებში მოსალოდნელია აჯანყებულთა შეტაკება.

კრონშტადტის ფორტის აფეთქება.

ააფეთქეს კრონშტადტის ფორტი „პეტრე პირველი“. აფეთქებული მსხვერპლია. აფეთქებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ მახლობლად შუშები ჩალეწილა. 20 ვერსის მანძილზე კაცები წაქცეულან.

ჯარის-კაცთა გათანასწორება ოფიცრებთან.

სახალხო კომისრები მოკლე დროში გამოსცემენ დეკრეტს ჯარისკაცთა გათანასწორებაზე ოფიცრებთან.

რომანოვთა განთავისუფლება.

ხმები, ვილჰელმა ლენინს რომანოვთა განთავისუფლება მოსთხოვა. ამის გამო სმოლნი ინსტიტუტს, ომსკს და ტობოლსკ შუა გახშირებული მიწერ-მოწერაა.

სრულიად რუსეთის ცენტრალი კომიტეტი.

არჩეულ იქმნა სრულიად რუსეთის ცენტრალი კომიტეტი, რომელშიაც შევიდნენ 12 კაცი ბოლშევიკებიდან მემარცხენე ესერებიდან და შეერთებულ ინტერნაციონალისტებიდან.

დეკრეტი ავტორის უფლების შესახებ.

სმოლნის ინსტიტუტში ამზადდება დეკრეტი ავტორის უფლების შესახებ. თანახმად დეკრეტისა, ავტორის უფლება ვრცელდება მწერლის მემკვიდრეებზე მხოლოდ 15 წლის განმავლობაში. შემდეგ, თუ სახალხო განათლების კომისია მოისურვებს ამა თუ იმ თხზულების სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადება 5 წლის ვადით. ხუთი წლის შემდეგ საკუთრება ნაწარმოებზე გაუქმებულ იქნება და მათი გამოცემა ყველას შეეძლება. თუ წიგნების მონოპოლია განხორციელდა, მაშინ ყოველივე წიგნი ორ გამოცემად უნდა იბეჭდებოდეს: სრულ აკადემიურ გამოცემად და სახალხო გამოცემად, სადაც მხოლოდ რჩეული ნაწარმოები იქნებიან მოთავსებულნი. ავტორის უფლება იმ ნაწარმოებზე, რომელზედაც მონოპოლია არ გავრცელდება, მოისპობა ავტორის გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ.

ახალი გადასახადი.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დაადგინა 350 მანეთიანი გადასახადი დადოს კერძო ქარხნების საავადმყოფო დაწესებულებათა პატრონებს, მსხვილ მოიჯარადრეებს, ბანკებს, კერძო თეატრებს, კინემატოგრაფებს. მექარხნეები გადასახადს იხდიან 100 დაქირავებულ მუშაზე 850 მანეთს, კერძო სასტუმროების პატრონები კი 5 ოთახზე იხდიან 350 მანეთს, გადიდებულ გადასახადის გადება სავალდებულოა ყველასთვის ქრისტეშობისთვის 16-დან.

ტყვეები პეტროგრადში.

პეტროგრადში ავადმყოფობის საბაბით მოდიან ტყვეები. აქ უკვე შეგროვილია, 10.000 ჯარისკაცი და 400 აფიცერი.

ტერორი ლენინ-ტროცკისთვის.

ბოლშევიკები ირწმუნებიან, რომ მზადდებოდა ტერორული აქტი ლენინ ტროცკის სიცოცხლის მოსასპობად.

მოსკოვში

ცენზურა.

მოსკოვის პრესა ცენზურას არ ემორჩილება. ბურჟუაზიულ გაზეთების უმრავლესობა არ გამოსულა. „უტრო როსიი“ გამოვიდა ერთ ფურცლად და აჭრელებულია „ბრძანებით“, სამხედრო წესების შემოღებაზედ, ბეჭვდითი სიტყვის დეკრეტებით და მოსკოვის დეპ. საბჭოს პრეზიდიუმის სხვა და სხვა შემადგენლობით.

უცენზუროდ გამოვიდნენ ზოგიერთი სოციალისტური გაზეთები. მენშევიკურ „ვპერიოდ“-ს რედაქტორის ნაცვლად ხელს აწერს მოსკოვის კომიტეტი. მენშევიკების მოწოდება ამბობს: თავისუფლება გაყიდულია, ხიშტებით შეგინებულია ის, რისთვისაც ვიბრძოდით. ფიალა აივსო. ამიერიდან თავისუფალ სიტყვას ვეღარ მოვისმენთ; არის მხოლოდ მთავრობის ოფიციალი პრესა. ბოლშევიკები ყვირიან, რომ ქმნიან ერის ნების-ყოფასა და თავი მოაქვთ მუშების და გლეხობის მხსნელად. ამხანაგებო! ვიხსნათ თავისუფლება!“ აცხადებს მენშევიკების კომიტეტი.

პროვინციაში

გალაშქრება ნოვოჩერკასკზე

როსტოვიდან 2500 წითელ გვარდიელმა თავი გაახწიეს. როსტოვის გაზეთები გადმოგვცემენ, წითელ გვარდიელები ნოვოჩერკასკზე გასალაშქრებლად ემზადებიანო.

უკრაინა

უკრაინელ სოციალისტ-რევოლუციონერთა მოთხოვნილება

უკრაინელი სოციალისტ-რევოლუციონერები პროტესტს აცხადებენ სახალხო კომისრების საბჭოს მიერ ჩადენილ ძალადობაზე და მოითხოვენ ნივთიერ ზარალის ანაზღაურებს.

საზავო დელეგაცია კიევში

ხმები დადის, რომ სახალხო კომისრების საბჭომ კიევში საზავო დელეგაცია გაგზავნაო.

რადის ულტიმატუმი კრილენკოსადმი

უკრაინის ცენტრალურმა რადამ ულტიმატუმი წარუდგინა კრილენკოს, სადაც აღნიშნულია, რომ 36 საათის განმავლობაში უნდა განთავისუფლებულნი იყვნენ კრილენკოს მიერ შეპყრობილი სალაშქრო უკრაინელთა რადები.

სახალხო კომისრების წინადადება

სახალხო კომისრების საბჭომ წინადადება მისცა უკრაინის ცენტრალ რადას, დააბოლოვონ უთანხმოება მშვიდობიანის გზით, სახალხო კომისრების საბჭო იცავს უკრაინის თვითგამორკვევის პრინციპს იმ შემთხვევაში, თუ უკრაინელები მხარს არ დაუჭერენ კალედინს.

„ვლასტ-ნაროდა“-ს ცნობა

ქრისტეშობისთვის 13 გამოსული „ვლასტ ნაროდა“ სტამბაში დაიჭირეს. მხოლოდ რამდენიმე ცალი გამოვიდა გასასყიდად. „ვლასტ-ნაროდა“ იუწყება, რომ ბოლშევიკების კონცენტრაცია უკრაინის რადის წინააღმდეგ ძალიან ნელა მიდის. სამაგიეროდ, სამაგალითოდ მოწყო პოლკების უკრაინიზაცია ფრონტზედ. ასე შედგა ორი დივიზია და ორიც სალაშქრო კორპუსი. ერთმა უკრაინის კორპუსმა შეაჩერა ბოლშევიკები [illegible].

ტროცკი და რადა.

უკრაინის რადის შესახებ ლენინი და ტროცკი გაიყვნენ. ტროცკი მომხრეა რადასთან შეთანხმებისა.

მოსკოვის პოლკები.

მოსკოვის და ფინეთის პოლკებმა უარი განაცხადეს რადის წინააღმდეგ წასვლის შესახებ.

რადა და სურსათის საქმე.

უკრაინის რადამ განაცხადა, რომ უკრაინის საზღვრების გარედ სურსათი არ გაიგზავნება, სანამ გენერალ სეკრეტარიატი არ მიიღებს სურსათის ანგარიშს საკრედიტო ბილეთებით და ოქროთი.

დამფუძნებელ კრების გარშემო

პეტროგრადის საბჭოს არჩევნები

დაიწყო პეტროგრადის საბჭოს არჩევნები. ამორჩეულებმა მიიღეს ნაკაზი, რათა ეცადონ, რომ დამფუძნებელი კრება რაც შეიძლება მალე მოიწვიონ.

პეტროგრადის მეეიხოვნენი

პეტროგრადის და კრონშტადტის მეეიხოვნეთა ნაწილებმა გამოიტანეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ დამფუძნებელ კრების მალე მოწვევას.

მე-9-ე ლაშქარი

მე9-ე ლაშქრის წარმომადგენლებმა სმოლნში განაცხადეს, რომ ლაშქარი არ თანაუგრძნობს სახალხო კომისრების საბჭოს და მოითხოვს დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევას.

სემიონოველების რეზოლუცია

სემიონოველებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევას. სემიონოველებმა გადასწყვიტეს არ დასტოვონ პეტროგრადი ვიდრე კრება არ გაიხსნება. ასეთივე რეზოლუცია მიიღეს პრეობრაჟენელებმა.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია დამფუძნებელ კრებაზე გამოვა მანიფესტით, რომლითაც იგი სახალხო კომისრების საბჭოს მთავრობას უკანონოდ გამოაცხადებს.

მიტინგის გარეკვა

წითელ გვარდიელებმა გაფანტეს დამფუძნებელ კრების მიტინგები. ყველა ორატორები დააპატიმრეს.

ეროვნული საკითხი

თურქესტანის დროებითი მთავრობა.

თურქესტანის დროებით მთავრობაში ჯერ-ჯერობით შემდეგი პირნი შედიან: 1) მინისტრ-თავმჯდომარე და საშინაო საქმეთა მინისტრი, მე-2 სათათბიროს წევრი, ტინიშბაევი, 2) მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე შაგიახმეტოვი, 3) გარეშე საურთიერთო განყოფილების გამგე, მაჰმადიანთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ჩოკაევი 4) სახალხო მილიციისა და საზოგადოებრივ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე, სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი ხოჯაევი, 5) მიწათმოქმედების მინისტრი აგრონომი აგაევი, 7) სასურსათო საქმეთა მინისტრი მახმუდოვი, 7) საშინაო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ურაზაევი, 8) ფინანსების მინისტრი გერცფელდი.

ირლანდიელების დევნა.

მთელი ირლანდია შეწუხებულია ტომას ეშის სატუსაღოში გარდაცვალებით. ტომას ეში ეს ერთი ლიდერთაგანია სინ-ფეინებისა. მიუხედავად იმისა, რომ ეშის დანაშაულს წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა—მთავრობამ საერთო რეჟიმის მსხვერპლად გახადა ძალღონით სავსე ეში.

მის დაკრძალვის დღე ეროვნულ დღესასწაულად გადიქცა. ირლანდიის მეფემ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად დატუსაღებულ სინ-ფეინებს რბილად უნდა ეპყრობოდნენ,

ფინლანდია და რუსეთი

რუსის ჯარების წამოსვლა.

ოსტერბოტენში (ვაზანის გუბ.) დაბანაკებულ რუსის კორპუსს წინადადება მიეცა, რუსეთში გაემგზავრონ, ვინაიდან „სამშობლო განსაცდელშია და თავის ერთგულ შვილების დახმარებას საჭიროებს“.

აგრეთვე დაიწყო რუს ყაზახების ევაკუაცია ვიბორგის გუბერნიიდან.

უკანასკნელი დეპეშები

ბრესტში დროებითი ზავზე მოლაპარაკების დროს გერმანელებმა განაცხადეს, რუსეთმა შუამავლობა უნდა გასწიოს ცენტრალ სახელმწიფოებსა და მოკავშირეთა შორის საყოველთაო ზავის ჩამოსაგდებად, თუ ეს არ მოხდა, მაშინ გერმანეთისა და რუსეთის შორის სეპარატიული ზავი დაიდება და რუსეთმა ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები გერმანეთს უნდა გადასცეს.

—

რადგანაც ბოლშევიკების დეკრეტით გაუქმებული სასამართლო დაწესებულებანი განაგრძობენ მუშაობას, ბოლშევიკებმა დაადგინეს, ძალით გარეკონ ესენი.

—

მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსმა მურავიოვმა წინადადება მისცა სახალხო კომისართა საბჭოს წითელ-გვარდიელებისაგან შეადგინოს საგანგებო რაზმები, რომლებიც ძალით ჩაიტაცებენ პურს სადგურებზე.

—

ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს, ისევ გახსნან ყველა უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სასწავლებლების უფროსი კლასები.

† კიტა აბაშიძე

კვირას, ნაშუადღევის ხუთ საათზედ, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი ქართველი ლიტერატორი და პოლიტიკური მოღვაწე კიტა აბაშიძე.

განსვენებული 9 თვე რაც ლოგინს იყო მიკრული და მძიმე ავადმყოფობით იტანჯებოდა. ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ ხანებში, როდესაც იგი დანიშნული იყო ამიერ კავკასიის კომისარიატის წევრად, ხშირად შეუძლოდ ხდებოდა და მთელი კვირაობით ლოგინათ იწვა, მიუხედავად ამისა, იგი შეუწყვეტლად განაგრძობდა მუშაობას, რაიც ფრიად ვნებდა მის ჯანმრთელობას. რამდენიმე თვის წინედ, იგი იძულებული გახდა სავსებით თავი დაენებებია მონდობილ თანამდებობისთვის, ვინაიდან მას აღმოაჩნდა ნეკნებთა შუა ნევრალგია და მისი ავადმყოფობა დღითი დღე უარესდებოდა. ექიმების რჩევით, იგი წყალტუბოს სამკურნალო აბანოებში გაგზავნეს, მაგრამ ამან კიდევ უფრო დაასუსტა ავადმყოფი.

უკანასკნელ ხანებში განსვენებულს სრულებით წაერთვა ძალი და ნაწილობითი დადამბლავდა.

შაბათს, განსვენებულს სრულებით წაერთვა ღონე და ექიმები, რომელნიც შეუწყვეტლად თავს ადგნენ, შეუ ბადით უგრძელებდნენ სიცოცხლეს. ყოველივე საშუალება უკვე ამაო იყო და კვირას, ნაშუადღევის 5 საათზედ სრულ შეგნებაში მყოფმა, განუტევა სული.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე განსვენებულს თავს ადგნენ მისი მეუღლე, პროფ. ივანე ჯავახიშვილი და მეგობარი ექიმები ვახტანგ ღამბაშიძე და ალექსანდრე დიასამიძე.

გარდაცვალების ერთი საათის შემდეგ ცხედართან მოგროვდნენ მისი მეგობრები და ახალგაზდა ქართველი მწერლები.

პანაშვიდები დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 5 საათზედ.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოების** თბილისის განყოფილების საზოგადო კრებამ, ქრისტეშობისთვის 17 ს, მოიწონა ფრაქციების მიერ წარმოდგენილი რწმუნებულთა სია. სოც.-დემოკრატების მხრივ 26 რწმუნებულია (მათ შორის „ალიონის“ ჯგუფისა არის 5 კაცი), სოც.-ფედერალისტებისა—11, ეროვნ.-დემოკრატებისა—8, ესერებისა—3, რად.-დემოკრატებისა—1 და უპარტიო 1 რწმუნებული. სულ 50 კაცი.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა რეზოლუცია.** ამიერ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცენტრალმა კომიტეტმა დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ რეზოლუცია გამოიტანა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ არც ერთი პოლიტიკური პარტია, თუნდაც მონარქისტული, დევნას არ უნდა განიცდიდეს რწმენისთვისაო. რეზოლუცია ჰკიცხავს სახალხო კომისართა საბჭოს მოქმედებას და მოითხოვს დამფუძნებელ კრების დაუყოვნებლივ მოწვევას.

◆ **მექრთამეობა.** დაატუსაღეს მე-7 უბნის კომისარი ვოიშჩინსკი ვაჭრებისაგან ქრთამის აღებისათვის. მას განსაკუთრებული გადასახადი დაუდვია ვაჭრებისთვის.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა კრება.** პარასკევს, ქრისტეშობისთვის 22, საღამოს 8 საათზედ კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში შესდგება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა მორიგი კრება.

ს. მეჯვრისხევი

◆ **ვაჭრების თავგასულობა.** ადგილობრივ ვაჭრების ალვირ-ახსნილობას საზღვარი არა აქვს. რამდენიმე დღეა, რაც მეჯვრისხევს ნავთი შემოაკლდა. აღარც კოოპერატივს აქვს ნავთი. ამ გარემოებით ისარგებლეს ვაჭრებმა და გირვანქა ნავთს მანეთად დაუწყეს ყიდვა.

ბათუმი

◆ **უწესოებასთან ბრძოლა.** ბოლო დროს ლოთობამ და უწესრიგობამ იმდენად გაძლიერდა, რომ მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი გახდა, ადგილობრივმა სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა, სადაც დეპუტატთა საბჭოს წევრები და სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელნი შედიან, განკარგულება გამოსცა, დაუყოვნებლივ დააპატიმრონ და დასაჯონ ყველა, ვინც ღვინის მალულად გაყიდვასა და წესიერების დარღვევაში იქნება შენიშნული.

ქუთაისი.

◆ **საერობო არჩევნები.** სამაზრო ტექნიკური კომისია უკვე შეუდგა ერობის არჩევნებს ქუთაისის მაზრაში. ასარჩევია 60 ხმოსანი.

◆ **იარაღის ბრძოლა.** ღამით გასტეხეს სამაზრო კომისარიატის არქივი და გაიტაცეს 3 რევოლვერი, 2 თოფი, ხანჯალი და ტყვიები.

ზესტაფონი

◆ **უწესოებასთან ბრძოლა.** დეპუტატთა საბჭომ აირჩია საგანგებო კომისია უწესოება-ყაჩაღობასთან საბრძოლველად. „მშვიდობიანობის კომისია“-მ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი: აღკრძალა ქალაქში ღვინის გაყიდვა და წინადადება მისცა მეღვინეებს, ღვინო სრულიად გაზიდონ ქალაქიდან.

ფოთი.

◆ **პარტიული კრება.** ხუთშაბათს საღამოთი შესდგა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა საერთო კრება. მოხსენებები წაიკითხეს: პოლიტიკურ თემაზე—ალექსანდრე თოიძემ, ეკონომიურზე—ტრიფონ ჯაფარიძემ, ავტოკეფალიაზე—იპოლიტე ვართაგავამ და მელიტონ კელენჯერიძემ. ყველა მოხსენებამ მსმენელთა შორის აღტაცება გამოიწვია. დაადგინეს, გაიხსნას პარტიული კლუბი.

◆ **ახალი კერძო პროგიმნაზია.** ამიერ-კავკასიის სამოსწავლო კომისარიატის ნება-რთვით, მომავალი იანვრიდან ნ. ლოლუას ქალთა სკოლაში მოეწყობა გიმნაზიის ოთხი კლასი, იგი იქნება: „პროფესიონალური სკოლა სრულ-უფლებიან პროგიმნაზიის კურსით“, რომელშიც ჭრა-კერვისა და ქსოვა-ქარგვის გარდა მეურნეობის სხვა დარგებსაც შეასწავლიან.

ამიერ-კავკასიის კომისარიატში

დეკრეტი მიწის შესახებ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უკვე გამოსცა.

◆ ბათუმის კომისრად დაინიშნა ი. ჰაიდაროვი.

◆ სწავლა-განათლების საკომისარო საქმის მწარმოებლად მოიწვიეს არ. ჰუმბაძე.

◆ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მთელი თავისი შემადგენლობით დაესწროს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრის კიტა აბაშიძის ცხედრის დაკრძალვას.

სასურსათო საქმეები

◆ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის** თათბირმა ქრისტეშობისთვის 16-ს დაადგინა გაადიდოს მტკიცე ფასები ხორბალზე 6-დან 15 მანეთამდე ფუთზე, ქერზე 6-დან 10 მანეთამდე და სიმინდზე 12 მანეთამდე.

◆ **მუდმივი სარეკვიზიციო კომისია.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრებამ საჭიროდ სცნო რეკვიზიციის წესით შეძინოს სურსათი თბილისის გუბერნიაში, ეს საშუალება აუცილებელი დარჩება. აღნიშნულ კომისიაში წევრებად შევლენ საგუბერნიო სასურსათო გამგეობის საბჭოს წარმომადგენელნი, სასურსათო გამგეობათა და მოქმედ პოლიტიკური ორგანიზაციებისა. ამ კომისიას დავალებული აქვს მცოდნე პირები მიიწვიოს.

◆ **ქალაქის სასურსათო კომიტეტმა** ქრისტეშობისთვის 17-ს ფქვილი 1 ვაგონი და ნავთი 8 ვაგონი, ქრისტეშობისთვის 18-ს კარტოფილი 1 ვაგონი.

◆ **ფქვილის მალულად შემოზიდვა.** კავკავიდან მალულად შემოაქვთ საქართველოს სამხედრო გზით ფქვილი და ფუთს 65 მანეთად ჰყიდიან.

საქართველოს ეროვნული საბჭო

ქრისტეშობისთვის 17 სხდომა. ქრისტეშობისთვის 17-ს საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი. სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექციის სახელით მოხსენება წაიკითხა პ. საყვარელიძემ. მოხსენებაში ნათლად არის აღნიშნული, თუ როგორი კავშირი უნდა დამყარდეს მაჰმადიან და სხვა ქართველთა შორის. მთავარი აზრი მოხსენებისა ის არის, რომ სამაჰმადიანო საქართველო მჭიდროდ იყვეს დაკავშირებული საქართველოსთან პოლიტიკურად, როგორც ნაწილი მისი, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს თავისი თვითმართველობა.

მოსმენილ იქმნა მოხსენება ვიქ. თევზაიასი, რომელიც მუშათა საბჭოს მხრივ დელეგატად იყო გაგზავნილი დროებითი ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად ოსმალეთთან, როგორც ბ-ნ თევზაიას მოხსენებიდამ გამოირკვა, ტყუილი ყოფილა ის ხმები, ვითომც ზავის ერთ-ერთ პირობათა შორის ოსმალეთი ასახელებდეს ბათომისა, ყარსისა და გუმბრის ოსმალეთისათვის დაბრუნებას.

შემდეგ საბჭომ, გარეშეთა დაუსწრებლად, მოისმინა აკაკი ჩხენკელის მოხსენება საგარეო საქმეთა სექციის სახელით. მოხსენება შეეხება მოლაპარაკებას, რომელიც სექციას ჰქონია მთიელებთან, ოსებთან, სომხებთან და ამიერ-კავკასიის მუსულმანებთან.

საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა პოდპოლკოვნიკი ა. ზაქარიაშვილი აირჩია თავისს წარმომადგენლად ინტერნაციონალურ სამხედრო საბჭოში, რომელიც დაარსებულია ამიერ-კავკასიის კომისარიატთან.

კომიტეტმავე შეიმუშავა მიწოდების ტექსტი ქართველ მაჰმადიანების მიმართ. კომიტეტმა ნოე ჟორდანიას მიანდო, მიესალმოს კომიტეტის მხრივ მუშათა და გლეხთა საბჭოების საოლქო ყრილობას.

აჭარის წარმომადგენლად საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულია ჯემალ-ბეგი.

კავკასიის უკრაინელთა ცენტრალმა რადამ თავის საგანგებო კრებაზე გუშინ მოიწვია საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლები. კრების საგანი იყო: მიმდინარე მომენტი კავკასიაში და უკრაინის ამბები.

ქართველ მაჰმადიანთა დადგენილება. ქართველ ეროვნულ საბჭოს და ამიერ კავკასიის კომისარიატს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ქართულად: ქობულეთი. ქართველ მაჰმადიანთა მრავალრიცხოვანი მიტინგი მიესალმება კავკასიის კომისარიატს და ქართველ ეროვნულ საბჭოს, უცხადებს მათ სრულს ნდობას და აღუთქვამს ყოველივე დახმარებას. მიტინგი აღშფოთებას გამოსთქვამს დამფუძნებელ კრებაზედ ძალდატანების შესახებ მოითხოვს ბოლშევიკების თვითნებობის ალაგმვას.

ხელს აწერს მიტინგის თავმჯდომარე **ჰაიდარბეგ აბაშიძე.**

დეპეშა ოსების ყრილობისაგან. საქართველოს ეროვნულ საბჭოს მისალმების საპასუხოდ ოსების ეროვნულ ყრილობის სახელით ცხინვალიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„ძმური მისალმებისთვის. სამხრეთის ოსების ყრილობას ღრმად სწამს, რომ კავკასიის ერთა შორის თანხმობის სრულიად განმტკიცება შესძლებს მთელი კავკასიის დემოკრატიის შეთანხმებული მუშაობით“. ყრილობის თავმჯდომარე **გაგლოევი.**

პატარა ფელეტონი

დღევანდელი

(ბოლშევიკებს)

ცივი ოთახი... ცივი ვახშამი..,
დაძინებისთვის მოვიდა დროც კი...
მაგრამ მაწუხებს გული და ზამი:
მე მელანდება ლენინ და ტროცკი.
ჩვენი ფილიპე—მათი ნოქარი,
ეფრეიტერი შაუმიანი...
და დამრჩა ძვალი გაულოკარი,
და ჩუმად ვენისი სუსტი ხმიანი.
ეს მართალია თუ მხოლოდ ჭორი,
ეს ცნობა ვიღას მოუტანია:
რომ შოვინისტობს დღეს გეგეჭკორი
და ხალხს ჰღალატობს დღეს ჟორდანია?
ო! ნოე! ნოე! მერე და რაზე?
ხალხი შენ ერთ დროს სახელს გიქებდა.
სერგო მოგეხმო შენ ქავთარაძე
და იგი ჭკუას დაგარიგებდა.
გაცივდი გულით? ნუ თუ გათავდი?
ჩაგიქრა ცეცხლი სამოქალაქო?
შაუმიანს რად არ სთხოვე ნავთი,
რითაც აანთო მან მთელი ბაქო.

პუდელჩინელი.

ქართულ ესთეტიკის საღამო

ნარკვევი

1

ყაბახის ეპოქაში ნატანჯი ბარათაშვილი იმასაც სჩიოდა, რომ ვერ შეადგინა ორი კაცისგან მაინც სალიტერატურო წრე და ჩვენს ინტელიგენციაში ვერ ნახა მწერლობის ზარი.

მაშინ იყო ყაბახი და ხაბარდო; მაშინ არ იყო „მოდაში“ ქართველობა და ძნელიც იყო ვორონცოვის ბალებში გამოთვრალებულის და შამილის დევნაში ატეხილ ახალთაობის მოწყვეტა სალიტერატურო წრის შესადგენად.

შემდეგ იყვნენ მწერლები, იყვნენ ბუმბერაზები, მაგრამ ინტიმურ წრეებს არ ჰქონიათ ადგილი თუ ბინა თბილისში.

ქრისტეშობისთვის 14-ს გამართულ ქართულ ესთეტიკის საღამოს წინამორბედობა არა ჰქონია; და არ ვიცი რად მაგონდებოდა ის პირველი საღამო ინტიმურ წრეში რომ გამართა ბარათაშვილმა. ანჩისხატის უბანში, საღამოთი, ჭრაქებზე კოჭლი პოეტი კითხულობდა „ეული ტარინტელის“ თარგმანს. იქ იყვნენ ახალგაზდა ოფიცრები, იყვნენ ვორონცოვის ადიუტანტები, იყვნენ მოყმაწვილნი და ხაბარდებიანი ქალებიც; მაგრამ ბარათაშვილმა საწადს ვერ მიაღწია და მსჯელობის ნაცვლად „ქალებმა ასე გასინჯეთ ტირილიც კი დაიწყეს“, ისე აადელვა მათი რომანტიული გული ტრაგედიის სიუჟეტმა. მეორე ქართულ ესთეტიკის საღამოზე, მართალია ქალებს არ უტირიათ, მაგრამ ხმაც არავის ამოუღია და აქედან გამოჩნდა, რომ ბევრით არ წავსულვართ წინ...

დიდია მნიშვნელობა ქართულ ესთეტიკის საღამოების, დიდია მათი მიზანი.

ვიცით ევროპიელები, აგვიმაღლებია ხმა [illegible], მაგრამ არავის არ ულაპარაკნია ჯერ ქართულ ესთეტიკის თავისებურობაზე. და თუ შემდეგი საღამოები ამ ნიშნით წავა, უეჭველია, ჩვენ შევალთ მასში განსაწმენდად როგორც მოდერნი ეკლესიაში. პირველ საღამოს მნიშვნელობა ისიც იყო, რომ მან დიდი უფსკრული აღმოაჩინა და ჩვენ უხმოდ შევყურებდით ამას...

2

საღამო გაიხსნა **რობაქიძის** მაგიური ხელით და უსაცილოდ იყო იგი მეტყვე ახალი ნიშნისა. ყველა ჟურნალისტი, რომელიც უსათუოდ არ კითხულობს რობაქიძეს, იცნობს მის გაუგებრობას და ეს ლეგენდა დამტკიცებულია კიდეც.

გრ. რობაქიძეს, რომელიც ჩვეულია ინდივიდუალ მხატრულ გემოვნებით, შეუძლია ამეორის ალფერ-დე-ვინის ბალადა: „უფალო, შენ დამბადე ძლიერი, მხოლოდ მარტო!“ ინდივიდუალ ლეგენდის კანონები არ აქვს და აქედან იწყობა რობაქიძის მკვეთრული მარტოობა...

თქვენს წინაშე ბრინჯაოს სცენარი; ზამთრეულ სახით, პირუმზეური და გათოვლებული. იგი სულაც არა ჰგავს ქართველს. რომაელია. ოდნავ ნატიფ სახეზე ზომიერება გრძნეულობს. ცივად იყურება ერთს წერტილისაკენ, თითქოს თავი სდევია ზამთრის ბალიშზე და ღამე შავ კოშმარში გაუტარებია.

ის მუდამ უაილდს მაგონებს რედინგის შემდეგ...

სდგას, როგორც მეხდატეხილი და ამბობს ცივად, როგორც ჩრდილო ზღვათა ორეული და სულ უცბად აავდება მისი თვალები ელვენ.

ცივ ბაგეებს სცვივა ნამზევი ალის შხეფები; ჰსჩქეფს ოქროსფერი მარგალიტებული და ბროლავს ცეცხლში ნაზავი სიტყვები. თითქოს კართაგენის ბრძოლის წინა წუთს თვითსრული კეისარი სდგას მახვალებში და ეულანთებული ხელის აქნევით ლაპარაკობს ქალაქის სიძვირეთაზე; იქაურ ქალებზე და უფასო საჭურჭლეზე. ველური ჯარი უწორო წადილით გამთვრალებული სურვილებში ჰკვდება ნათელშრეტით და მიაქვს ხელი გავაზურ ხანჯლებისკენ. ის ამეორებს გამინებას და ჰკვეთს მისე წინასწარმეტყველებით. თითო სიტყვა გულს ესობა თრაგმენტად და შიგან რჩება შეყვარებულ არაბივით.

გრიგოლ რობაქიძე პირველ მეგზაურად გვესახელა ჩვენ; მის მრავალფასიანობის ახლა არა ვარ გამომეტყვე.

ნიცშეს წარმართი თავაზი უმწვერვალესად არის სიტყვის ტრფიალი და მსარკეებელი. ფლობერით ის არის „სიტყვით ნატანჯი“ და შეყვარებული სიტყვაში.

ფრანსის ინდივიდუალობა, მან უდარესად შეივსა და გაშალა ვეშაპისფერი ყვავილი. მწერლის თვითებისათვის უცილოა თავისებურობა ტონის და სიტყვა-სახეობის; გარეგნული თავისებურობა უსაცილოდ ამოწმებს შემოქმედების შინაგანით თვითებასაც.

ყვავილადი ქართული სტილი მოკამარე და უნათლიერი ძველად ჰყვაოდა ასურნელებულ კედარივით.—ზღაპრებული გიორგი მთაწმიდელი, მზესიური თმოგველი და აელვარებული რუსთაველი გველინდება ჩირაღდნებით. მათი სახეობა ახლაც გვამხიარებს და გვინათებს ავადმყოფ თვალებს.

გარნა ახლაც არ არის გამოცხადებული სტილის ატროფია ჩვენში, რასაც რობაქიძის მაგიური სიტყვა დაგვინათებს...

3.

გრ. რობაქიძის შემდეგ („ბუნებისათვის შემოქმედებისა“) ვისმენდით **ტიტე ტაბიძეს.** (პეტერბურგი—ანდრია ბელის რომანი) ამ საღამოთი ის ჰგავდა ბოდლერის ალბატროსს.

ჰამუკის გამთვრალებული სახე უჟადღის ტუჩებით,— გამომწვევია ღამის საშინელებით. თითქოს მთელ ღამით გირტყეს ეშმაკები აზვავლებენ. მ.ს მიერი უტკიია სამგლოვიარო პროცესში; მუდამ აგონდება გაგიჟებული მატაროსი, უფსკრულში რომ იხდის თავის პანაშვიდს. ავადმყოფ მთვარესავით გაცრეცილი და უნდა თქვენს თვალებსაც ცვრეული ცვარი ამოსწუროს...

— ო, რა გულქვები ხართ, თქვე ჰინკებო!

და იწყობს ანდრია ბელის წირვას,

. . . .

. . . .

იყო „შიალქნო ქანაობა ქაოსში“. და იყო „თუჯის მხედარი“.

გოგოლი, დოსტოევსკი, ტუტჩევი, ანდრია ბელი, ალექსანდრე ბლოკი გიჟდებოდნენ რუსეთის ყომრალ ნიღბით...

ხომ გახსოვთ ტუტჩევის გეოგრაფია: მოსკოვი, პეტრეს ქალაქი და ქალაქი კონსტანტინესი—აი აღთქმულობა რუსეთის სამეფოსი. შვიდი შინაზღვა და მდინარე შვიდივე დიდი. ნილოსით—ნევა, ელბიდან ჩინეთი,—ვოლგიდან ეფრატსი და განგესით დუნაიმდე—ეს აგვირგვინებდა ყველას.

და იყო ყვითელ უდაბნოში ბნეული, გაუგებარი და უმეცარი ხალხი, რომელთა მზირალს, თმა ყალხზედ უდგებოდა. ნისლით შეცული ჰაერი, გაქცეული ღმერთი და მიდევნებული: „ტარე შენი გზით ხალხი შენი!“ მაგრამ მონგოლი მეკობარი უცდიდა მათ კატორღას, თუმცა ერთს უკვე ელანდება სტამბოლის ბეჭზე აპრიალებული ოლეგის ფარი.

და ყველა იტყუებდა ბავშვებს; აცმევდნენ პორფირს და ჰლესავდნენ ხანჯალს. შემოქმედს უნდოდა თვალი აეყოლებინა დამწვარ წარმოდგენისათვის. და „ჩნდება შავი პირი, გიჟდებიან სოფლები და ქალაქები, ყველა მღელვარებს და ჰფიქრობს, რომ მხოლოდ ის იცნობს ჭეშმარიტებას და ტანჯულიან სხვების გამო. იცემს მკერდში, ტირის და იმტვრევს ხელებს. არ იციან, ვინ ჩასთვალონ ბოროტად და ვინ კეთილად. მხედარნი ეცნენ ერთმანეთს და ქალაქში ისმოდა ზარისცემა. აჩეხუნბდნენ ერთმანეთს. ჩხუბობდნენ და სჭრიდნენ.

იყო ცეცხლი, დაიწყო შიმშილი და დაიღუპა ყველაფერი“ (დოსტოევსკი), „და ჩინეთის კედლებთან შეიქნა სიმრავლე რაზმებისა, დაემხო ირწევი ორთავით და „ყვითელ ბავშვებ“ მიეცა ხელში სათამაშოდ შენი დროშათა ნაწყვეტები და შენს (მესამე რომი), წვავხარ ნაცარში“. (ვლ. სოლოვიოვი).

ვიღაც ასარკებს გამოწვდილ ხელთა ჩონჩხებს, ჰქრის არავი... სცემს საყვირი ჩინგის ხანისა და ყირმიზდება კუბლიკის ველი. სისხლ-თმიანი თემურლანგი ჰკვეთავს ბავშვების მედიდურობას და ჩრდილოეთის გზათები აყვითლებს გაქცეულ ბავშვთა დამქრალ სახეებს... და აზრით შიში როგორც გრძნობა ცარიელობის და არაობისა და წარმოთქვით, რომ საჭირო იყო წინასწარმეტყველი, წინასწარმეტყველობის გასაგებად. და რომ აპოკალიპსის გადმოცემას, იოანეზე ნაკლები გამოცხადება არაა საჭირო...

ჰაერში ასურნელდა სიცივე და გამთვარებული ჰამუკი ეკლესიის ორღანოსავით იხდის პანაშვიდს.

გ. ლეონიძე.

ჯარების დემობილიზაცია და სურსათის საკითხი

ჯერ-ჯერობით, რუსეთი მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს ოფიციალად მხოლოდ დროებითი ზავის ჩამოგდებით შეეკრა. ეს მოვლენა მაინც თავის-თავად არაფერს ახალს არ იძლევა. უეჭველია, დროებითი ზავი მუდმივ ზავად გადაიქცევა და მებრძოლთა სახელმწიფოებს ერთი წყევრი ჩამოაკლდებათ.

ეს მოვლენა თავის-თავად ჰბადებს ჯარების სრულ დემობილიზაციის საკითხს, ხოლო დემობილიზაციის საკითხთან მჭიდროდ შეკავშირებულია სურსათის კრიზისი საქართველოში.

ვგონებ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოში წრეულს შიმშილი აუცილებელია. დასამტკიცებლად მოვიყვან ზოგიერ სტატისტიკურ ცნობებს.

ქართლში წლეულს მოსავალი ძლიერ ცუდია... ზოგიერთ რაიონებში პურნახული სულ ერთიანად წახდა. საშუალოდ ქართლში მოსავალი ნახევარზე ცოტაა და შიმშილის დასაწყისი მოსალოდნელია იანვრის პირველ რიცხვებიდან.

კახეთში მოსავალი ცუდი პირი უჩანს. განსაკუთრებით რაიონებში პურნახული წახდა. ზოგიერთ რაიონებში კი პურნახული საკმარისია, ზედმეტია, მაგრამ მეურნეობრივად ჭირანის ნებას არავის აძლევენ. იყო შემთხვევა, რომ მიწაში იპოვეს ჩაფლული ხორბალი. ერთს რაიონს მეორე რაიონის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. შიმშილი აუცილებელია. კახეთის რკინის გზას დახმარების გაწევა არ ძალუძს. კავკავიდან ალაზნის ხეობით დახმარება არ უნდა ელოდეს.

სამურზაყანოდან და ახალციხის მხარიდან ჯერ-ჯერობით დანამდვილებითი ცნობები არ არის, უეჭველია, რომ შიმშილის გზას ვერც ეს ქვეყანა ასცდება.

ქუთაისის გუბერნიის შესახებ ამას წინად ქუთათურ გაზეთებში საზარელი ცნობები იყო მოთავსებული: აღნიშნული იყო, ქვემო იმერეთის ერთს რაიონში შიმშილი უკვე დაიწყოო. საშუალოდ კი იმერეთში მოსავალი საშუალოზედ ცოტათი მეტია, ყოველ შემთხვევაში შიმშილი იმერეთშიაც მოსალოდნელია თებერვლიდან თუ არა, მარტიდან მაინც.

საქართველოს დამშევის დროს რაოდენადმე უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან გურია-სამეგრელო. წლევანდელმა გვალვამ სამეგრელო-გურიის ჭაობიანი ადგილები გახმო და მოსავალიც ბევრად თუ ცოტად წაიცა. ყოველ შემთხვევაში, გურია-სამეგრელოდან დახმარებაზე იმედი არ უნდა ჰქონდეს იმერეთს. საქართველოს სხვა კუთხეებშიაც დაახლოვებით მდგომარეობა ასეთივეა. საშუალოდ სრულიად საქართველოში მოსავალი ძლიერ ცოტაა. ადგილობრივი პურნახული მცხოვრებლებს თებერვლამდის ძლივს ეყოფათ.

ეს დამშევის პროცესი უფრო გაუარესდება ჯარების დემობილიზაციის დროს, როდესაც მშობლიურ კერას ჩამოვლენ ომიდან დაბრუნებულნი.

საერთო რიცხვი ქართველთა მეომრებისა რუსეთის ლაშქრობაში ითვლებოდა 200,000—300,000-მდე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნახევარი ამ რიცხვისა მაინც დაუბრუნდება დაშვრულ საქართველოს კერას. ამ რიგად, ამ მოკლე ხანში საქართველოს შეემატება ახალი 150,000 მშიერი მოქალაქე.

იბადება ბუნებრივი საკითხი, რა გავლენას მოახდენს ქართველი ჯარის კაცების დაბრუნება პურის კრიზისზე?

ამ ჟამად პურის ულუფად საქართველოს ქალაქებში ნახევარი გირვანქა არის მიღებული. მაგრამ სოფელში გაცილებით მეტი იხარჯება. ჯერ ჩვენი სოფელი ეკონომიურად გამოუცდელი ქვეყანაა. არც გასაკვირველია თუ ჩვენ სოფელში ხვალინდელ დღეზე არავინ არ ფიქრობდეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ საშუალოდ სოფლის გლეხს დღიურ ულუფად ორი გირვანქა გამოცხობილი პური ან მჭადი უნდება, რომ ვიანგარიშოთ ამ რიცხვით ახლად ჩამოსულ ჯარის კაცებს ენკენისთვემდე მოუნდებათ ზედმეტი 1.800,000 ფუთი ხორბალი.

იბადება კითხვა, რა გზით შეიძენს საქართველო ამ უსაჭიროეს ხორბალს.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, სამხედრო ნაწილი არავითარ დახმარების გაწევას არ ფიქრობს. ამრიგად, მშიერ ქვეყანას მშიერი მოქალაქეები ემატებიან.

ყოველთვის ადამიანმა მდგომარეობა ცუდად უნდა წარმოიდგინოს. თუ მივიღებთ იმ აზრს, რომ საქართველო არავიდან დახმარებას არ მიიღებს, მაშინ ახალი მოქალაქეები შიმშილს ერთი თვით დააჩქარებენ. ამ რიგად, დემობილიზაციის გამო საქართველოს შიმშილი ერთი თვით ადრე უახლოვდება.

დახმარებას საქართველო არავისგან არ უნდა ელოდეს. უეჭველია, საქართველოს თავის ახლად ჩამოსულ შვილებთან ერთად ელის შიმშილის საშინელება...

მ. საარხელი.

ქართველთა საეკლესიო წესების ორი მუხლი

ქართული ეკლესიური მართვა-გამგეობა და საეკლესიო წესები, ქართველ ერის ცხოვრების პირობებს ფეხდაფეხ მისდევდა. ხშირად ხდებოდა ისიც, რომ ერის კაცნიც იღებდნენ მონაწილეობას საეკლესიო საქმეთა განხილვასა და კამათში. ამისთანა ბჭობას და კამათს, რასაკვირველია, ყოველთვის შეგნებული კაცები ესწრებოდნენ და ასეთი პირნი იღებდნენ მონაწილეობას ისეთ კრებაზეც კი, როცა კრებას კათოლიკოზი, ან თბილელი ესწრებოდა ხოლმე. ერის კაცთა მოსაზრებას ყოველთვის კათოლიკოზი დიდის გულმოდგინებით ის-

მენდა და საეკლესიო სამართლის ნაწილში საპატიო ადგილსაც უთმობდა.

ამიტომაც არის ქართველებში ნათქვამი, რომ „ხმა მღვთისა და ხმა ერისაო“. ეს ნიშნავს პირდაპირ იმ გარემოებას, რომ სასულიერო წოდება არის ღვთის ხმა და ერიც ხომ ერთი, სამოქალაქო ნაწილია. მეორე, ხალხის ცხოვრებას სასულიერო ცხოვრებისათვის ერიც უნდა განაგებდესო. მარტოდ ბერების მოქმედება არ კმარა მოქალაქე ხალხის ცხოვრებისთვისო. ქართველ ერს რომ საეკლესიო კანონებზედ დიდი გავლენა ჰქონდა, ამას ასაბუთებს ორი საქმე, ორი დადგენილება.

ქართველებს მტერი ისეთ დროსაც კი ეცემოდა თავზედ და თბილის ქალაქზედ, როცა ხალხი ეკლესიებში იყო სალოცავად მისული, უცბად მტრის შემოსევა, მდევარისა და მტრის ზარალი ხალხს სასტიკათ რევდა და შლიდა ისე, რომ ბევრი თავის ქუდსაც ვეღარ პოულობდა, ბრძოლის ველზედ თავ-შიშველა გადიოდა. ასეთი შემთხვევა ხშირად მომხდარა. ამიტომ შემოღებულ იქმნა ის წესი, რომ ქართველნი ეკლესიებში ქუდ დახურულნი იდგნენ, მხოლოდ სახარების და სამოციქულოს კითხვის ზიარების და სეფისკვრის მიღების დროს იხდიდნენ ქუდს.

XVIII საუკ. ქართველთა შორის, ოჯახებში ცოლქმართა შორის, უსიამოვნო ცხოვრების პირობები ძრიელ გახშირდა, ეს გარემოება მათში ხშირად სისხლს იწვევდა, ამიტომ კათალიკოზმა ერის კაცთა დადგენილებით შემოიღო ასეთი წესები:

იქ, სადაც ოჯახში ცოლ-ქმართა შორის უსიამოვნება იყო გამართული, მათი ცხოვრება ერთად შეუძლებელი იყო, მათ დაუნიშნავდნენ ერთ ზედამხედველს. საქმე თუ მართლა აღმოჩნდებოდა, მასთან მათ მიუჩენდნენ ვინმე მქადაგებელ ბერს, ან მათ სახლის მოძღვარს. ეს უქადაგებდა ცოლ-ქმართ და აშველებდა ყოველ კანონის ძალით. სამი თვის შემდეგ მქადაგებელი ცნობებს აძლევდა კათალიკოზის გამგეობას და თუ ამ ცნობიდამ სჩანდა, რომ ცოლ-ქმართა შორის შესაძლებელი იყო მტრობის მოსპობა, მაშინ ცოლქმართ უნიშნავდნენ სამს კაცს, ხან ქალსაც კაცის მაგიერ, ესენი უწევდნენ მათ ზედამხედველობას, მათს უსიამოვნების ცნობებს ჰკრებდნენ და ბოლოს უდგენდნენ კათალიკოზის გამგეობას.

თუ აღმოჩნდებოდა, რომ ცოლქმართა ცხოვრება ერთად შეუძლებელი იყო, მაშინ ამ მოწმების წარდგენილის ცნობების საშუალებით ხდებოდა მათი განქორწინება და მათ შვილობა ეძლეოდა, მართალ მხარეს ნება ეძლეოდა ქორწინების სხვაზედ და მტყუანი კი რჩებოდა ისე, უფლება შეზღუდული.

ეს წესები თბილისში არსებობდა 1760 წლის შემდეგ. იგი მოსპობილი იქმნა ერთად საქართველოს სამეფოსთან 1801 წ.

განქორწინების ასეთ წესების შემოღებამ თბილისში ბევრი უსიამოვნება მოსპო ხალხთა შორის ცხოვრებაში.

სხვათა შორის, ამ გარემოებას, ანუ ეკლესიებში ქუდებით ყოფნას, ვახტანგიც იხსენიებს თავის გეოგრაფიაში.

ზ. ჭიჭინაძე.

ალ. სუმბათაშვილი
(იუჟინი)

დღეს, როდესაც საქართველო განიცდის რენესანსის, აღორძინების ხანას და როდესაც, მაშასადამე, აუცილებლად საჭიროა ჩვენ გაფანტულ ძალთა კონცენტრაცია, მგონია, ჩვენი ვალია ბუმბერაზნი მაინც არ დავივიწყოთ და თუ—ვინ იცის—რაიმე მიზეზებისა გამო თვით ვერ მოსულან—მოვიწვიოთ.

ჯერ კიდევ ბევრ თავის პირმშოს მოელის საქართველო. ჯერ კიდევ მთლად არ დაბრუნებია მას გადაფრენილნი მერცხალნი, რომელთა ჭიკჭიკს სხვებისათვის დაუტკბია ყურთასმენა.

და მოფრინდებიან კიდეც.

მაგრამ ხელოვნების სექციის დაარსება ალ. სუმბათაშვილის მოპატიჟებას კი დაჟინებით გვიკარნახებს.

მისი ღრმა ცოდნა ხელოვნებისა თითქმის ყველა დარგისა, მისი უაღრესი სიყვარული სამშობლოისა („დალატის“ ავტორს არ შეუძლია სხვანაირად უყვარდეს სამშობლო) თავდებია იმისა, რომ ხელოვნება—ეს აუცილებელი დარგი კულტურულ ერთა ცხოვრებისა—მისი მეთვალყურეობით და ამორჩეულ პირთა შეწყობით განვითარდება ჩვენში აჩქარებულის ტემპით.

კერძო ლაპარაკის დროს ზოგიერთებმა მიპასუხეს:

ალ. სუმბათაშვილი არ წამოვაო.

მაგრამ განა ეს დასაჯერებელია?

კაცს, რომელმაც ოთარ-ბეგს „ქრისტე აღსდგა“-ზედ „ჭეშმარიტად“ ათქმევინა, განა შეუძლიან ერის აღორძინების დროს სიამოვნებით არ გამოემართოს თავის ტურფა—სამშობლოს აღდგომის ლიტანიაში მონაწილეობის მისაღებად?

სუმბათაშვილს, რომელმაც საუცხოვოდ გადმოშალა მსოფლიოს წარმტაცი გალერეა ქართველ გმირთა, განა შესაძლებელია ასე გაეყინოს მშობლის სისხლი?

დაუჯერებელია, წარმოუდგენელია! ეჭვს გარეშეა სიამოვნებით წამოვა და საქმეც თხოულობს მისს ამ ჟამად აქ ყოფნას.

ხ. ახვლედიანი.

კორესპონდენცია

კახეთიდან

ს. ყვარელი (თელავის მაზრა). წელს ამ სოფელში უჩვეულო მოსავალი მოვიდა შედარებით მეზობელ სოფლებთან, როგორც პურისა და სიმინდისა, აგრეთვე ყოველგვარი ხეხილისა, ვენახი და სხვა. უეჭველია, ეს მოსავალი მთელ წელს გამოკვებავდა ამ სოფლის მცხოვრებთ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ამის მიზეზი გახლდათ აქ დაარსებული სასურსათო კომიტეტი სადაც შედიან: ქიტე აბაზაშვილი (იგივე ქურდ კი) ზაქარა ხარებაშვილი, ჟურნალში მეწისქვილე და სოლომონ ზაქუტაშვილი, რომლებმაც გამოსცეს მოწოდება, რევოლიუციის სახელით და სასტიკად აუკრძალეს გლეხთა ურთიერთ შორის ყოველგვარი სანოვაგის ყიდვა-გაყიდვა, რომელმაც გამოიწვია დიდი უთანხმოება გლეხთა შორის. ყველა იმას გაიძახოდა, ჩემი საკუთარი ჩემი ნება არისო. მაგრამ მაინც არ გადაუხვევიათ მთავრობის დადგენილებას და დასთანხმდნენ. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ მოსავალი რაკი შემოდგომაზე მოდის, პირველ ხანში, უფრო შეიძლება შეძენა ნაკლებ ფასებში, ვიდრე ამ დროს. ასე რომ ამ დადგენილებამ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ხალხი. აკრძალვის მიზეზი გამოირკვა იმაში, რომ თვით სასურსათო კომიტეტს შემადგენელ ზემოხსენებულ ვაჟ ბატონებს, ჰქონდათ გასასყიდი როგორც პური და სიმინდი, აგრეთვე სხვაც და ჰსურდათ, რომ ფასებს აეწია და კარგ ფასებში გაეყიდნათ. მიუხედავად იმისა, რომ აკრძალული იყო სხვა სოფელში გატანა და ჩალ-ვაჭრობაზე გაყიდვა, თვითონ შეუწყეს ხელი, სოფელი სულ მათ ხელში ჩავარდა. ასე რომ პირველმა მათ დაარღვიეს თავიანთი დადგენილება. გადამალულ გაჭირვებულ მოჰყავდნენ სოფლებს და დაჰპირდნენ, რის წყალობაც კი შეეძლებოდათ, ქალაქიდან დაბრუნებულ პურ-ღვინომდე კომიტეტი ყურს იყრუებდა, ვითომც ვერას ამჩნევდა. მართალია, ზოგიერთ მცხოვრებთაც ნება დართეს ვაჭრობისა, მაგრამ მეტად გვიანღა იყო, რადგანაც სოფელში უკვე აღარა მოიპოვებოდა რა და რაც იყო, მამასახლისად იყიდებოდა, ვინაიდან ჩოლიკები ბოლოსწინად [illegible] ფასებში. ასე სცოდნია წყეულ ქრთამის თბილისმა, რასაც ძველს რეჟიმშიც და ახლაც, სამწუხაროდ, დიდი გასავალი აქვს.

ამის გარდა, სასურ. კომიტ. ზემო ხსენებულ აბაზაშვილს მიუყიდა ოთხი გუთანი თვლებს. მას. კომიტეტისაგან, რაც თვით მას დაუჯდა ყოველი ხარჯით ას ხუთმეტი მანეთი და მან დაუწყო ყიდვა ას ორმოც მანეთად. ესეც ერთგვარი ხელის შეწყობა სოფლისა, არა? ასე ესმით მეურნეობისთვის საჭირო იარაღის მიწოდება. კომისარი ბ-ნი პაპაშვილი თვალებს აცეცებდა და ოდნავაც ყურს არ იბერტყავდა, რომ ყოველ მხრიდან მოსდიოდა მრავალი მოწოდებები, თხოვნები, საჩივრები, რითაც ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად დახმარებას თხოულობდნენ მისგან.

აი, ეს ცხრა თვეა რაც გლეხთა საბჭო არსებობს. ამდენი ხნის განმავლობაში საბჭოს თითქმის არაფერი გაუკეთებია. იკრიბება საბჭო, არჩევს საკითხებს, ირჩევს კომისიებს სხვა და სხვა ფუნქციების ასასრულებლად, გადის დრო, ხანი, არაფერი კეთდება, თითქმის ყოველ საბჭოს სხდომაზე იცვლებიან საბჭოს წევრები, ახალი ამორჩეულები წინანდელ კრების დადგენილებას არ ემორჩილებიან, ხელახლა გამოაქვთ რეზოლიუცია. ხელახლა ირჩევა კომისია, მაგრამ საქმის ვითარებას არაფერი შველის. ეს რა უმეცრობაა ყვარლისთვის? არც ძველ დროს და არც ეხლა ჯერ არ გაუღვიძია, მის ვითომდა მოქირისუფლებს ყველფერზე უჭირავს თვალი, ოღონდ საზოგადო საქმისთვის არა. განა გასაკვირველი იქნებოდა, თუ შაქრაზმელებიც თავს წამოჰყოფდენ და ჩაიდენდენ იმას, რასაც მოისურვებდნენ? უძლურია სოფელი და უჯიშოთ სავსეული, იმიტომ არავის ეშინია.

ზ. დურუჯიშვილი

ქართლიდან

ქ. სურამი. ორიოდე წელია რაც გორში გაიხსნა ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“, რომლის მიზანიც არის სოფლად სწავლა განათლების გავრცელებას ხელის შეწყობა, სოფლის ყოველმხრივი დახმარება. მალე ამ ფრიად სიმპატიურ საზოგადოების განყოფილებები ქართლის სხვადასხვა სოფლებში გაიხსნა, სხვათა შორის სურამშიაც, სადაც ხსენებულ საზოგადოების განყოფილებას უფრო მეტის გაკეთება შეუძლიან, ვიდრე სხვა დაბა ქალაქებში და სოფლებში.

დღევანდლამდის „მანდილოსნის“ სურამის განყოფილების მოქმედება სხვა და სხვა მიზეზების გამო იმდენად ნაყოფიერი არ იყო. დღეს კი სიფხიზლე ეტყობა და ცდილობს, პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენოს თავის საქმიანობა, ასე მაგალითად, გიორგობისთვის 2 ხსენებულ საზოგადოებასთან გაიხსნა ფეხსაცმლების კერვის კურსები, სადაც 30 მდე ქალი უფასოდ ასწავლის ფეხსაცმლების კერვას. აქვე მიიღებენ შესაკერავ ფეხსაცმლებს.

ამავე საზოგადოების მეთაურობით გაიხსნა ჭრა-კერვის კურსები, სადაც აგრეთვე მიიღებენ შესაკერავ ქალის ტანისამოსებს.

როგორც ფეხსაცმლის, ისე ტანისამოსის კერვის კურსებზე შენაკვეთს ერთობ ხელმისაწვდომ ფასებში შეასრულებენ, რაც უფრო სიმპატიურად ჰხდის კურსების გახსნას: ერთის მხრივ ხელსაქმეს უფასოდ სწავლობენ ჩვენი ღარიბი ქალები ლუკმა პურს გაიჩენენ მომავალში, ხოლო მეორეს მხრით შეუძლებელთ საშუალებას მისცემს სამოსი შეიძინონ იაფად.

აღსანიშნავია ქ-ნი სოკოლოვის ასულის ღვაწლი ამ საქმეში, რომლის ინიციატივით დაარსდა ეს კურსები.

იმედია, სოკოლოვის ქალს ჩვენი მოწინავე ქალებიც მიჰბაძავენ და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში ჩაერევიან.

ვიქონიოთ იმედი!

გრ. უბირელი

წერილები რედ. მიმართ

ადამ ივანეს ძე ფარაქიშვილმა „იმედი“-ს საზოგადოებას შესწირა ორი ძვირფასი ხალიჩა, რისთვისაც საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას მოახსენებს.

გამგეობის თავმჯდ. ნინო ყიფიანი

(პასუხად არქიმანდრიტ ნაზარის)

გაზეთ „საქართველოს“ 265 ნომერში მოთავსებული იყო „ოქმი არქიმ. ნაზარისა, დეკ. მარ. ტყემალაძისა და დეკ. ნიკ. თალაქვაძის დავისა“. ამის ზედ მოჰყვა არქიმ. ნაზარის ჩემდამი „ღია წერილი“ (№ 269), რომლითაც ის „სინოდის სამართალში“ მიწვევს. ვინაიდგან დაუმთავრებელ „დავის“ ფარათი საზოგადოების სამსჯავროდ გამოტანა შესაძლებლად დაინახეს, საჭიროდ მიმაჩნია მეც მომეცეს ნება შესაფერი განმარტება მოგართვათ. ჯერ უნდა აღვნიშნო ის, რომ „ოქმის“ გაზეთის ფურცელზე გამოტანა, ბ. თ. სახოკიას სიტყვით, არ დაუდგენია კომისიას, რომელსაც 15 ივლისიდგან ამ „დავის“ განხილვა ჰქონდა „დავალებული“ (ვისგან?!) ჩვენი ეკლესიის დროებით მმართველობისგან. ამის შესახებ „ოქმშიც“ არა სწერია რა! არც თვისი დაპირება შეუსრულებია კომისიას—„ოქმის ასლი მივეცით დაინტერესებულ მხარეთ, თავმჯდომარის და მდივნის მიერ ხელმოწერილით“. ეს „ასლი“ ერთ „დაინტერესებულ მხარეს“ მიუღია კიდეც და გაზეთშიც გამოუცხადებია! მე კი,—მეორე „მხარეს“,—დღესაც არ მიმიღია „ასლი“, თუ არ მივიღებთ სახეში წინამდებარე გაზეთის პირველ დეკემბრის ფურცელს!

ხსენებულ კომისიის მარწმუნებელი დროებითი მმართველობა 17 ენკენისთვეს გაუქმდა. მის ნაცვლად საეკლესიო კრებამ დაადგინა არჩეულ წევრთაგან შემდგარი თვისი ორგანო—„საკათალიკოსო საბჭო“ მისს „სასამართლოთი“. კომისიამ კი მანამდე, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, დროებითი მმართველობის „დავალება“ არ შეასრულა. ამიტომ იგივე კომისია, ყოველ შემთხვევაში, ვალდებული იყო 20 ღვინობისთვეს მის მიერ გამოტანილი „ოქმი“ თვის დასკვნებით წარედგინა მხოლოდ საკათალიკოზო საბჭოსათვის, როგორც დროებითი მმართველობის მემკვიდრისათვის და ამისი მსჯავრი მოეცემინა.

სწორედ ეს მოვაგონე კომისიას 6-ს ღვინობისთვეს, ჯერ ბ. თ. სახოკიას პირით, გარნა როდესაც სიტყვიერი მისი განცხადებით კომისია არ დაკმაყოფილდა და იმავ თ. სახოკიას პირითვე მან წინადადება მომცა წერილობით განმეცხადებინა ჩემი სურვილი, მეც 12 იმავ ღვინობისთვეს თარიღით, 124 ნომრით, კომისიის თავმჯდომარეს ბ. გ. ქურულს წარუდგინე სათანადო განცხადება. მაგრამ კომისიამ ჩემს დასაბუთებულ მოხსენებას ამჯობინა ბ. თ. სახოკიას ზეპირი განცხადება ამჯობინა. გარნა ჩემი წერილობითი განცხადება, რომელიც მოთხოვდა, „ოქმშიდაც“ კი არ შეუტანია, რაც მე მიმაჩნია დიდ შეუსაბამობად. მაშინ არქიმანდრ. ნაზარიც ვეღარ მიუყენებდა—„თითქოს მე კომისიის ზოგიერთ წევრებს წუნი დავსდე, ისინი არა კომპეტენტურად ვსცანი და ამიტომ მოვითხოვე საქმე საკათალიკოსო საბჭოში გადატანილიყო“. ჩემს წერილობითი განცხადებაში სიტყვა-სიტყვით ვსწერდი: ...„გიცხადებთ რა მთელი კომისიის შემადგენლობას, თქვენის თავმჯდომარეობით, (კომისიის თავმჯდომარეობა დროებითი მმართველობამ თავის წევრს ბ. გ. ქურულს მიანდო და არა ბ. რცხილაძეს, რომელიც დეკ. მ. ტყემალაძისაგან იყო მოწვეული; ბ. გ. თელაშვილიც თავის წრიდან ამოირჩია იმავე მმართველობამ) ჩემს ღრმა პატივისცემას, უმორჩილესად გთხოვთ ჩემი მოხსენებანი, განცხადებები და სხვა მასალები ამ საქმის თაობაზე დაუბრუნოთ საკათალიკოსო საბჭოს, რომელიც თავის მხრივ ამ საქმის განხილვას მიანდობს თავის იურიდიულ კომისიას, რომლის მსჯავრს ვალდებული ვარ დავემორჩილო სავსებით“. სად არის აქ „ზოგიერთ წევრების დაწუნება“?! აქ რაღაც გაუგებრობაა, რომლითაც არქ. ნაზარიმ საგაზეთოდ ისარგებლა...

კომისიას, სამწუხაროდ, დაჰვიწყებია თვის „ოქმში“ აღენიშნა ის გარემოებაც, რომ მას პირველი სხდომა ამ საქმის თაობაზე ჰქონდა 26 აგვისტოს. ამ სხდომისათვის მე დეპეშით გამომიწვია დროებითმა მმართველობამ სურამიდან. გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე ყველანი, გარდა ბ. სვ. ქვარიანისა, ურომლისოდ არქიმ. ნაზარიმ საქმის გარჩევა არ ინება. ველოდეთ ბ. ქვარიანს საღამოს 6 საათიდან 11 ს. 15 წუთამდე. მაშინ არქ. ნაზარიმ განაცხადა—„სულ ერთია, ეს საქმე სამ-ოთხ თვეზე მეტს გასტანსო“! ეხლა კი მე მისაყვედურებს საქმის „გაჭიანურებას“! უნდა აღვნიშნო ისიც, რომ 20 ღვინობისთვის სხდომას დანიშნული თავმჯდომარე ბ. გ. ქურული აღარ დასწრებია და თუ 26 მარიამობისთვეს უქვარიანოდ საქმე არ გაარჩიეს, —20 ღვინობისთვეს უქურულოდ რაღა უფლებით გამოიტანეს თავიანთი „ოქმი“?! ასეთი „საქციელია განსაცვიფრებელი“ და არა ჩემი, როგორც მისაყვედურებს ნაზარი კომისიის სახელით. ამას გარდა ვკითხავ, რომ კომისიას ჩემი საზოგადოებრივ მნიშვნელობის ოფიციალური მოხსენება არქიმ. ნაზარიზე და დეკ. მ. ტყემალაძეზე ხერხიანად არცკი წაუკითხია. თურმე ასეთ მოხსენებას კომისია ჩვენ შორის რაღაც „ოჯახურ დავას“ ვერ უწოდებდა! სიტყვა „დავა“ ამ საქმეში შეუსაბამოდ მიმაჩნია, ვინაიდგან მათთან მე გასაყოფი არა მქონებია რა!

კომისიას ვერ გაუგია, რომ მე მისთვის არა მიმინდვია-რა! მას დროებითი მმართველობამ „დაავალა“ მისდამი და მის შესახებ ჩემი მოხსენების განხილვა, მე კი მხოლოდ დავემორჩილე დროებითი მმართველობის ასეთ განკარგულებას. დროებითი მმართველობას ამ საქმესთან კავშირი როდი შეუწყვეტია მას კომისიისათვის გადაცემის შემდეგაც! მან კომისიას 15 ივლისის ჩემი მისდამი მოხსენების ასლი მისცა, დედანი კი თვით დაიტოვა საქმეში. ჩემი მოხსენება აღნიშნულ სასულიერო პირთა შესახებ ეხებოდა დროებითი მმართველობის შენადგენობის მოქალაქობრივ სიფაქიზის დაცვას, ამ დაწესებულების ავტორიტეტის საზოგადოების თვალში განმტკიცებას.

მცხეთის ამა წლის 12 მარტის არაჩვეულებრივმა საეკლესიო კრებამ, რომელმაც მოიწონა დროებითი მმართველობა ჩვენი ახლად აღდგენილ ეკლესიის საქმეების გასაძღოლად, ზოგიერთ ძველ რეჟიმის „მოღვაწეებს“ ჩვენში ვეღარ სცნო და თვის შემადგენლობაში ისინი არ ამოირჩია. ესენი არც თბილისის სამღვდელოების იმავ 16 მარტის კრებამ ამოირჩია. გარნა ეს „მოღვაწენი“ ძალად მოიწვიეს დროებით მმართველობაში! ზოგმა, გაუგებარ მეგობართა შემწეობით, შემდეგ გზა გაიკვლეს ამ ნორჩ დაწესებულებებში, ზოგიც სცდილობდა ამასვე. აი, სწორედ ამ საგანს ეხება ჩემი 15 ივლისის მოხსენება და ვერ გამიგია —რა არის აქ სამედიატორო?! ის კომისია ბბ. გ. ქურულის და გ. თელაშვილის მონაწილეობით დროებითი მმართველობის კომისია იყო და არა სამედიატორო სამართალი! ამიტომ როგორც კი დროებითი მმართველობა გაუქმდა, კომისიის წევრებს ხელი უნდა აეღოთ ამ საქმის წარმოებაზე და საკათოლიკოზო საბჭოსათვის დაებრუნებინათ.

ეხლა ამ უკანასკნელის საქმეა თუ როგორ მიმართულებას მისცემს ჩემს მოხსენებას, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში თავისი სიმწვავე დაჰკარგა თუ გნებავთ იმიტომაც, რომ არც არქიმ. ნაზარი და არც დეკ. მ. ტყემალაძე საკათოლიკოზო საბჭოს წევრად საეკლესიო კრებამ არ აირჩია! ყოველ შემთხვევაში, მე მიკვირს ერთი გარემოებაც: არქიმ. ნაზარი და დეკ. მ. ტყემალაძე, ორთავენი აცხადებენ „ოქმში“, რომ ისინი „მზად არიან დაემორჩილონ ყოველგვარ სასამართლოსა და მოსამართლეთა“,—ნამდვილად კი არქიმ. ნაზარი საკათოლიკოზო საბჭოს სთხოვს, რათა მან ეს საქმე გადასცეს სამედიატორო სასამართლოს. გარნა „ღია წერილში“ სწერს: „საეჭვოა საკათოლიკოზო სასამართლომ ისეთი ხასიათის საქმეთა გარჩევა იკისროს, როგორიც თქვენი „საჩივარი“ (ჩემი მოხსენება „საჩივარი“ როდია! საჩივრებს დაჩვეული არა ვარ). ამიტომ,—განაგრძობს ის,—დამოუკიდებლად ოფიციალურ სასამართლოს გადაწყვეტილებისა და მოქმედებისა, მე თქვენ გიწვევთ სინოდის, სამედიატორო სასამართლოში, სადაც უნდა დაამტკიცოთ ყოველივე თქვენ მიერ წამოყენებული ბრალდებანი“.

ახირებული პრეტენზიაა! ამ ბრალდების დამტკიცება ერთხმად, თუ მაინცა და მაინც ეს საჭიროა, უნდა მოითხოვოს საკათოლიკოზო საბჭომ, რომელიც არ უნდა იქმნეს მიჩნეული ისეთ „ოფიციალ სასამართლოდ“, როგორიც იყო, მაგალითად, აწ უკვე გაუქმებული სინოდალური კანტორა, სადაც არქიმ. ნაზარი—ტყემალაძეები ისხდენ „მოსამართლეებად“! ან რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ „სინოდის სამართალს“ საკათოლიკოზო საბჭო და მისი სასამართლო,—საეკლესიო კრებიდგან არჩეულნი,—ვერ აწარმოებენ?! აქ ფორმალური მოსაზრებით ფონს ვერ გახვალთ! პირიქით, ჩემ მიერ წამოყენებული მოსაზრებანი 15 ივლისის მოხსენებაში იმდენად სპეციალ ხასიათისანი, რომ მათ შესახებ დღეს მხოლოდ საკათოლიკოზო საბჭო მიმაჩნია შესაბამ მსაჯულად. ეს უმაღლესი ეკლესიური დაწესებულება ვალდებულია იქონიოს არსებითი მსჯელობა ისეთ სასულიერო პირთა შესახებ ქართველთა შორის, რომელნიც დახობილი სინოდალურ რეჟიმის ბრმა იარაღად იყვნენ ჩვენში თავიანთ პირადი—ეგოისტური მიზნების მისაღწევად. ასეთი პირები შექმნიან თუ არა აღდგენილ ეკლესიის ცხოვრების ახალ ფორმებს? [illegible] სასურველია ასეთ პირთა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოშვება?!..

„სინოდის, სამედიატორო სამართალს“, მოითხოვნას მე მოველოდი თქვენგნით, არქიმანდრიტო ნაზარი, 1914 წლის 2 ივნისის ინციდენტის შემდეგ, რომელიც მოხდა ჩვენ შორის მ-5 ნ. ს. ძაძამიძის კაბინეტში, ძველი სემინარიის შენობაში, [illegible] მე თქვენ გიწოდეთ ხსენებულ [illegible] შვილის თანადასწრებით [illegible] სახელი. ჩვენ ველოდით, ასეთ სასამართლოს მოითხოვდით თქვენ „სტარი ავტოკეფალისტს“, რომელმაც საკმარისად აზხადა ფარდა თქვენს პიროვნებას გაზეთ „პეტროგრადსკი ვედომოსტებში“ 1916 წლის 200 ნომერში. მაგრამ სამართლის მოთხოვნას ველოდით თქვენგან თქვენ საწინამძღვრო იოანე ნათლისმცემლის მღვდელ-მონაზონ გურამიშვილისაგან, რომელმაც მძიმე ბრალდებანი და ბოროტ-მოქმედებანი დაგდოთ „სახალხო ფურცელის“ 1917 წ. 461 №-ში და აგრეთვე საჩივრებშიაც. დღეს თქვენ,—არქიმანდრიტი, მეროზით მოსილი, მონასტრის გარეშე ბრძანდებით გარიყული.

ყოველივე ზემო აღნიშნულის შემდეგ მე მეტად მიმაჩნია თქვენთან სამედიატორო სამართალში გამოსვლა და არც ერთ გაზეთის წერილზედაც აღარ გიპასუხებთ.

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე.

1919 წელსა დეკემბრის 12-სა.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

კალენდარი

შაბათი,
ქრისტეშობისთვის
19

მე 34 დღე ქრ. შობის მარხვისა.

ქართ. წმ. მოწ. პონიფატესი, პოლიევქტოსი და ტიმოთესი.

კათოლ. ნემეზისა.

სომხ. წმ. იოვანნეს ეპ სკ.პ. და თეოფანე მოწამესი.

მაჰმად. სე-შამბე 17 რ. რებიულევველ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშლიშ 18 რ. ტებეთი 5678 წ. ქვეყ. შექ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისაკენ საფ. № 5, 11,32 დილ.
სამგზ. № 9, 11.28 დილ.
ხაშურ-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ „ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ საფ. № 4, 8.46 საღ.
[illegible] სამგზ. № 4.8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე).
„ № 63.4, 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ საფ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან საფ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფ. საფ. № 3***, 7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას — თავისუფალ საქართველოში!
მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის
ერთად ერთ სათეატრო, სახელოვნო, სამხატვრო, სამუსიკო, სამწიგნობრო საზოგადოებრივ წინაპარსს პროგრესიულ-დემოკრატიულ უპარტიო სურათებიან იუმორისტულ განყ. ფ. ჟურნალზე
„თეატრი და ცხოვრება“
წლიწადი მეექვსე გამოცემისა
1918 გამოვა იმავე პროგრამით, როგორც განვლო ხუთი წლის განმავლობაში ცნობილ და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით
ჟურნალის ფასი: წლიურად 15 მან. ნახევარ წლით 9 მ. რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 10 მ. აპრილის დამლევს 3 მ. დანარჩენიც მარიამობის გასულს.
ხელის მოწერა შეიძლება თბილისში რედ ქცია (ალექს. ბაღის პირდაპირ, ძველ მეწიგნეთა რიგზე, ხანჯლის თავში, ბაზრის ქუჩა სახლი არჯევანიძისა № 20) ფოსტით: Тифлисъ ред. „Театри да Цховреба“, Іосифу Имедашвили.
შენიშვნა: ჟურნალის გაწერვის მსურველთ ვსთხოვთ დროზედ დაიკვეთონ, რომ მისამართების ბეჭდვა მოვასწროთ. ძველმა ხელის მომწერლებმა ძველი მისამართის ნომერი გვაცნობონ.
რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.